ფრიდრიხ ჰაიეკი

„რატომ არა ვარ კონსერვატორი“ და სხვა ესეები

საქართველოს უნივერსიტეტის
გამომცემლობა

ფრიდრიხ ჰაიეკი
„რატომ არა ვარ კონსერვატორი“ და სხვა ესეები

აკადემიური რედაქტორი **პაატა შეშელიძე,** ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოს პრეზიდენტი

მთარგმნელები: **თამარ ხვთისიაშვილი, დავით ხანთაძე, აკაკი ცომაია, ლელა ჯანგულაშვილი, ლელა ვადაჭკორია, გიორგი გეგუჩაძე, ხათუნა ახობაძე**

სტილისტ-რედაქტორი **ელენე სალარიძე**
ყდის დიზაინერი **შალვა ლურსმანაშვილი**
დამკაბადონებელი **ნათია დვალიშვილი**

გამოცემა მომზადებულია ეკონომიკური თავისუფლების ინსტიტუტის, ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოს, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდ თავისუფლებისთვის – გერმანია და საქართველოს უნივერსიტეტის თანამშრომლობით.

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
მერაბ კოსტავას გამზირი 77ა, თბილისი
ელფოსტა: info@ug.edu.ge

ISBN 978-99940-50-23-9

Friedrich von Hayek
Road to serfdom and other essays

Academic editor **Paata Sheshelidze,** President of New Ekonomic School – Georgia

Publication prepared in cooperation of Institute of Economic Freedom – Georgia, New Economic School – Georgia, Friedrich Naumann Foundation for Freedom – Germany, University of Georgia.

The Universiy of Georgia Publishing House
www.ug.edu.ge

სარჩევი

ფრიდრიხ აუგუსტ ჰაიეკის გზავნილი – **დავით დეფი**.....4
რედაქტორის წინასიტყვაობა – **პაატა შეშელიძე**.....5
ფრიდრიხ აუგუსტ ჰაიეკი (**როჯერ გარისონი, იზრაილ ქირზნერი**) –
თარგმნა თამარ ხვთისიაშვილმა.....10

„რატომ არა ვარ კონსერვატორი“ და სხვა ესეები

ეკონომიკური მეცნიერება და ცოდნა (1937) –
თარგმნა დავით ხანთაძემ.....31
რა გვიღირს გეგმური ეკონომიკა (1938) –
თარგმნა აკაკი ცომაიამ.....62
გზა ბატონყმობისკენ (1944) –
თარგმნა ლელა ჯანგულაშვილმა.....76
ცოდნის გამოყენება საზოგადოებაში (1945) –
თარგმნა დავით ხანთაძემ.....114
ინტელექტუალები და სოციალიზმი (1949) –
თარგმნა დავით ხანთაძემ.....134
რატომ არა ვარ კონსერვატორი? (1960) –
თარგმნა აკაკი ცომაიამ.....159
ლიბერალიზმი (1961) –
თარგმნეს ლელა ვადაჭკორიამ და გიორგი გეგუჩაძემ.....187
ეთიკის ელემენტები თავისუფალ მეწარმეობაში (1962) –
თარგმნა აკაკი ცომაიამ.....205
მოჩვენებითი ცოდნა (1974) –
თარგმნა ხათუნა ახობაძემ.....219
საგადამხდელო საშუალების არჩევანი, ინფლაციის შეჩერების გზა (1975) –
თარგმნა ხათუნა ახობაძემ.....235

ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის გზავნილი

ბატონებო, თქვენ წინაშეა ფრიდრიხ აუგუსტ ჰაიეკი! სამყაროს უმნიშვნელოვანესი ეკონომისტი, ფილოსოფოსი და ვიზიონერი. კაცი, ვინც მეოცე საუკუნის დასაწყისში ლუდვიგ ფონ მიზესთან ერთად ეკონომიკის ავსტრიული სკოლის წამყვან წარმომადგენლად მიიჩნევა და დიდი ხნის წინ წამოყენებულმა ვისმა იდეებმაც თანამედროვე სამყაროში ღრმად გაიდგეს ფესვები. კაცი, ვინც ურთულესი ცხოვრება განვლო და ათწლეულებზე მეტი საერთოდ დავიწყებული იყო. ვინც პირველ მსოფლიო ომში ავსტრია-უნგრეთის ჯარში მსახურობდა არტილერიის ოფიცრად და იტალიის საზღვარზე იბრძოდა. ვინც ომში გამოჩენილი მამაცობისთვის დააჯილდოეს კიდეც და ვინც მოგვიანებით დაწერს, – ჩემზე გადამწყვეტი ზეგავლენა პირველმა მსოფლიო ომმა მოახდინაო.

ვენის უნივერსიტეტში სწავლისას, იგი განსაკუთრებული გამჭრიახობითა და ნოვატორობით იჩენს თავს და შემდეგ ასეთივე გასაოცარი მონდომებით ეუფლება სამართლისა და პოლიტიკური მეცნიერების დოქტორანტურაზე სწავლას. ხოლო როცა ხელში ლუდვიგ ფონ მიზესის ნაშრომი, სახელად „სოციალიზმი“ უვარდება, მისთვის სამყარო სამუდამოდ იცვლება. აკი თვითონაც ამბობს, – ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ სამყარო არასდროს ყოფილა ისეთი, როგორიც უწინო.

თქვენ წინაშეა კაცი, ვინც უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ავსტრიის მთავრობას მრჩევლად აჰყავს და მას ისე აღიქვამს, როგორც მომავლის მაცნეს.

მისი სახელი მთელ ევროპას ესმის და კიდევ უფრო ცნობილი ხდება, როცა 1923-1924 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ იორკის უნივერსიტეტში, ასისტენტად იწვევენ.

თქვენ წინაშეა პიროვნება, ვინც 1927 წელს, მისთვის განუმეორებელი შთაგონების მიმნიჭებელთან – ლუდვიგ ფონ მიზესთან ერთად ავსტრიის ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტი დააარსა.

მისი თეზისებისთვის დრო და სივრცე მხოლოდ ყოფის სიმბოლოა და სწორედ მის თვალწინ, ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, მეორე მსოფლიო ომისა და ორმოცდაათიანელთა მოლოდინით სავსე ეპოქის გავლით, სამოცი და სამოცდაათიანელების თავბრუდამხვევი და დიად აღმოჩენათა ეპოქის გავლით, იგი თავის ნაშრომებს, ესეებს, აზრებს, წერილებს აქვეყნებს. ოთხმოც წელს მიტანებული კი სამყაროს თავის კიდევ ერთ ახალ და საბოლოო ნაშრომს ჩუქნის, რომელიც თავიდანვე ჩაფიქრებული იყო, როგორც თანამედროვე ლიბერალიზმის მანიფესტი. თქვენ წინაშეა პიროვნება, ვინც არათუ თომას მანისა და ბითლზის, აინშტაინისა თუ ელვის პრესლის, კოსმოსის ათვისებისა თუ სამეცნიერო დიდი გარღვევების ისტორიებს მოესწრო, არამედ ბერლინის კედლის დანგრევასა და საბჭოთა კავშირის დაცემაც თავისი თვალით იხილა, ვინც ნობელის პრიზითაც დაჯილდოვდა, 1992 წელს ოთხმოცდაცამეტი წლისა გარდაიცვალა და ვინც არაერთი ეპოქა ნახა, ვინც ყველაფერი გაიგო, მიზეზებისა და შედეგების უწყვეტობა გაიაზრა და ცოდნა მომავალი თაობებისთვის თავისი გზავნილით გადმოსცა.

თქვენ, სწორედ ახლა, მისი წიგნით ხელში, ამ გზავნილის უპირველესი ადრესატები ხართ.

დავით დეფი

რედაქტორის შესავალი

ავსტრიული წარმოშობის იურისტმა, ეკონომისტმა და სოციალურმა ფილოსოფოსმა, „ავსტრიული ეკონომიკური სკოლის“ უთვალსაჩინოესმა წარმომადგენელმა ფრიდრიხ აუგუსტ ჰაიეკმა (1899-1992) სახელი ქეინზიანური კეთილ-დღეობის სახელმწიფოს კონცეფციის, აგრეთვე ფაშიზმის, კომუნიზმის, სოციალიზმისა და სხვა ტოტალიტარული სისტემების მიზანმიმართული, საფუძვლიანი და თანამიმ-დევრული კრიტიკით გაითქვა.

ღრმად მეცნიერულმა კვლევებმა, ორიგინალურმა მიდგომებმა და მიზანმიმართულმა ბრძოლამ თავისუფლებ-ის იდეალებისთვის, მას უდიდესი აღიარება მოუტანა, რისი დასტურიც იყო 1974 წელს ნობელის პრიზი ეკონომიკაში.

შორს არ იქნება ჭეშმარიტებისგან, თუ ვიტყვით, რომ ჰაიეკი იყო ერთ-ერთი უპირველესი იმათგან, რომელთა თეორიულმა შრომებმა და პრაქტიკულმა სამეცნიერო მოღვაწეობამ იდეოლოგიურად გააშიშვლა და განაიარაღა სოციალიზმი; გავლენა იქონია მილიონობით ადამიანის თვალსაზრისზე თავისუფლების მნიშვნელობის შესახ-ებ. მისეულ ხედვებს 1980-1990-იანი წლებში დიდი გავ-ლენა ჰქონდა პოლიტიკურ ელიტაზე დასავლეთის წამყ-ვან ქვეყნებში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებსა (რეიგანი) და დიდ ბრიტანეთში (თეტჩერი), ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნების დისიდენტურ წრეებში, რამაც თავის მხრივ მნიშვნელოვანი

გავლენა იქონია ცივი ომის დასასრულისა და სოციალისტური ბანაკის დაშლაში გასული საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე.

ჰაიეკის მემკვიდრეობა კომპლექსური და მრავალმხრივია.

მან წამოჭრა არაერთი მნიშვნელოვანი კითხვა:

– რატომ არის შეუძლებელი საზოგადოების საკუთარი ნება-სურვილის შესაბამისად მოწყობა?

– რატომ არის საჭირო ინდივიდუალური არჩევანი პოლიტიკურსა და ზნეობრივ საკითხებში?

– როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი თავისუფლების სამართლებრივი სისტემა?

– რატომ აკნინებს თავისუფლების მნიშვნელობას პოლიტიკური შეცდომები?

– როგორ მუშაობს ბაზარი?

– რატომ უნდა განვიხილოთ კონკურენცია აღმოჩენის პროცედურად?

– რა წარმოშობს ე.წ. საწარმოო ციკლებს?

– რატომ არის საჭირო კერძო ფული?

– როგორ უნდა შევაფასოთ სოციალური მეცნიერებები და პოლიტიკა?

– რატომ იყო სოციალიზმი შეცდომა?

– რატომ უწყობს ხელს კაპიტალიზმი მომჭირნეობას?

– როგორ ამაღლებს სოციალური თანამშრომლობის ხარისხს ეკონომიკური თავისუფლება?

– რატომ არსებობს მხოლოდ პიროვნული და არ არსებობს საზოგადოებრივი სამართლიანობა?

– როგორია თავისუფალი საზოგადოების საფუძვლები?

და სხვ.

ამ კითხვებზე პასუხები კი მეცნიერმა ათობით წიგნის,

ასობით სტატიის, მრავალი ინტერვიუსა და ლექციის მეშვეობით გასცა.

უპირველეს ყოვლისა, ჰაიეკი პოპულარულია მრავალსახოვანი ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ მიმართული უკვდავი ნაშრომით „გზა ბატონყმობისკენ“, რომელიც 1944 წელს გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და იმთავითვე მიიქცია საყოველთაო ყურადღება, აღიარება და მოწონება. ჰაიეკის მიხედვით, ტოტალიტარიზმი უზნეობასა და ძალმომრეობას ეფუძნება, „მომხიბვლელი“ პროპაგანდით ადამიანებს ჭაობში ითრევს, ზომბებად აქცევს და ცრუ, უტოპიური კოლექტივისტური იდეების სამსახურში აყენებს. სინამდვილეში კი ადამიანის წარმატების არსი მისი თვითმყოფადობისა და შემოქმედებითი პოტენციალის გათავისუფლებაში ძევს და არა კოლექტივისადმი მორჩილებასა და მსხვერპლშეწირვაში.

შრომებში „ინდივიდუალიზმი და ეკონომიკური წესრიგი“ (1949) და „მეცნიერების კონტრრევოლუცია“ (1952) და სხვ. ჰაიეკი ააანალიზებს კაპიტალიზმის შესაძლებლობას, „მცდელობებისა და შეცდომების“ გზით დახვეწოს ადამიანთა შეზღუდული ცოდნა და გაზარდოს ინფორმირებულობა.

შრომებში – „თავისუფლების კონსტიტუცია“ (1960) და „კანონი, საკანონმდებლო ორგანო და თავისუფლება“ (1973) იგი აშიშვლებს წინააღმდეგობებს ძალაუფლებასა და თავისუფლებას შორის.

ნაშრომში „ლიბერალიზმი“, რომელიც 1973 წელს იტალიური ენციკლოპედიისთვის დაიწერა, იგი გადმოსცემს ლიბერალიზმის ისტორიისა და თეორიის ანალიზს, აგრეთვე აყალიბებს ლიბერალური პოლიტიკური სისტემის საკუთარ, ინდივიდუალური თავისუფლების გაფართოებისა და თანამშრომლობის ევოლუციონისტურ ხედვას.

განსაკუთრებით საყურადღებოა მისი შრომები ფულად-

საკრედიტო პოლიტიკის ხარვეზებსა და ამით გამოწვეული საწარმოო ციკლის შესახებ: „მონეტარული თეორია და სავაჭრო ციკლი“ (1933), „მონეტარული ნაციონალიზმი და საერთაშორისო სტაბილურობა“ (1937), „მოგება, პროცენტი და ინვესტიციები“ (1939), „წმინდა კაპიტალის თეორია“ (1940), „ფულის დენაციონალიზება“ (1975) და სხვ. მისი აზრით, სავაჭრო ციკლისა და ე.წ. ჭარბწარმოების კრიზისის მიზეზი მონეტარული სისტემის არასრულყოფილებაა, რაც ბანკების მხრიდან საკრედიტო ემისიის წარმოების ასპარეზს ტოვებდა. შესაბამისად, ხელოვნური გამოცოცხლების ეფექტს ქმნიდა და მტკივნეული დაცემით მთავრდებოდა. ფულის განკერძოება, მისი აზრით, შეუძლებელს გახდის მონეტარულ მანიპულაციებს და აღმოფხვრიდა სავაჭრო ციკლებს.

1989 წელს ის კვლავ დაუბრუნდა ტოტალიტარიზმის თემას, როდესაც გამოაქვეყნა „დამღუპველი თავდავიწყება: სოციალიზმის შეცდომები“. ამ ნაშრომით ჰაიეკმა გარკვეულწილად შეაჯამა საკუთარი შემოქმედება და საბოლოოდ ჩამოაყალიბა საზოგადოებრივი ცხოვრების ე.წ. „გაფართოებადი სპონტანური წესრიგის თეორია“.

წინამდებარე კრებული შედგება სხვადასხვა საკითხზე და სხვადასხვა დროს დაწერილი საჭირბოროტო და საკვანძო სტატიებისგან. კერძოდ: „ეკონომიკური მეცნიერება და ცოდნა“ (1937), „რა გვიღირს გეგმური ეკონომიკა?“ (1938), „გზა ბატონყმობისკენ“ (1944) შემოკლებული სახით, „ცოდნის გამოყენება საზოგადოებაში“ (1945), „ინტელექტუალები და სოციალიზმი“ (1949), „რატომ არა ვარ კონსერვატორი?“ (1960), „ლიბერალიზმი“ (1961), „ეთიკის ელემენტები თავისუფალ მეწარმეობაში“ (1962), „მოჩვენებითი ცოდნა“ (1974), „საგადამხდელო საშუალების არჩევანი, ინფლაციის შეჩერების გზა“ (1975), რასაც წინ უძღვის ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის

შემოქმედების მოკლე მიმოხილვა როჯერ გარისონისა და იზრაილ ქირზნერის მიერ.

ჰაიეკის ცხოვრება, შესაძლებელია, შემდეგ მნიშვნელოვან მონაკვეთებად დაიყოს:

1899-1914 წლები, სიყმაწვილე – თბილი, ურთიერთმოსიყვარულე და ურთიერთმხარდამჭერი და აკადემიური გარემო ოჯახში;

1914-1918 წლები, სამხედრო სამსახური და რევოლუციები – მონაწილეობა პირველ მსოფლიო ომში და ფაბიანური სოციალიზმით გატაცება;

1918-1926 წლები, ვენის უნივერსიტეტი – სამართალმცოდნეობისა და პოლიტიკური მეცნიერებების სწავლის პარალელურად ფრიდრიხ ფონ ვიზერთან სწავლობს ეკონომიკას, ხოლო ოტმარ სპანთან – ფილოსოფიას. ეცნობა და უმეგობრდება ლუდვიგ ფონ მიზესს, ესწრება მის კერძო სემინარებს ავსტრიის სავაჭრო პალატაში. ჰაიეკი მალევე უარყოფს სოციალიზმს და ავსტრიულ ეკონომიკურ სკოლას უერთდება;

1927-1931 წლები, ეკონომისტად ჩამოყალიბება – მიზესთან ერთად აფუძნებს სავაჭრო ციკლის კვლევის ინსტიტუტს და ხდება მისი პირველი დირექტორი. თანდათან ყალიბდება როგორც ავსტრიული ეკონომიკური სკოლის ერთერთი საკვანძო ეკონომისტი – მოაზროვნე, თეორეტიკოსი, მეცნიერი და ლიდერი;

1931-1950 წლები, ლონდონის ეკონომიკის სკოლა – ევროპასა და კერძოდ ავსტრიაში ფაშისტური განწყობების მომძლავრების კვალობაზე, ლეონელ რობინსის, ლონდონის ეკონომიკის სკოლის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის, მიწვევით მიემგზავრება ლონდონში და იქ აგრძელებს აკადემიურ საქმიანობას;

1944 წელი, „გზა ბატონყმობისკენ“ – ზოგადად

სოციალიზმისა და მისი ნაირსახეობების – „ფაშიზმისა“ და „ნაციზმის“ საფუძვლიანი კრიტიკული ანალიზი. გამოცემას მოჰყვა ფართო გამოხმაურება, საერთაშორისო ავტორიტეტისა და პოლიტიკური გავლენის მოხვეჭა. „გზა ბატონყმობისკენ“ დღემდე ერთ-ერთ სამაგიდო წიგნად რჩება ეკონომიკასა და სოციალურ ფილოსოფიაში;

1947 წელი, მონტ-პელერინის საზოგადოების ჩამოყალიბება – ანტილიბერალურ აკადემიურ და საზოგადოებრივ აზრს უპირისპირდება სახელგანთქმული მეცნიერების გაერთიანებით, საგანმანათლებლო საქმიანობის გაფართოებით;

1962-1974 წლები, მივიწყება – სახელმწიფოს როლის გაფართოებისა და ტექნიკური პროგრესის ფონზე, პოლიტიკური ყოვლისშემძლეობის ატმოსფეროში ჰაიეკის, ისევე როგორც სხვა ლიბერალი მოაზროვნეების მარგინალიზაცია მოხდა;

1974-1992 წლები, აღიარება – მოულოდნელად იღებს ნობელის პრიზს, იბრუნებს სახელს და ექცევა ლიბერალური აზროვნების აღორძინების ავანგარდში.

ნიშანდობლივია, რომ ჰაიეკი მოესწრო ბერლინის „ცივი“ კედლისა და საბჭოთა კავშირის დაცემას. მისი წიგნები მილიონობით იყიდება. მისი სახელობის ინსტიტუტები სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა კონტინენტზე აგრძელებენ ლიბერალური აზრის გავრცელებას. ჰაიეკი რჩება თავისუფლებისთვის მებრძოლ გმირად და მილიონობით ადამიანის საყვარელ ავტორად.

პაატა შეშელიძე

ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოს პრეზიდენტი

ფრიდრიხ აუგუსტ ჰაიეკი

1. შესავალი

ფრიდრიხ აუგუსტ ჰაიეკი (1899-1992) გახლდათ XX საუკუნის ეკონომიკის ცენტრალური ფიგურა, ავსტრიული ტრადიციის უდიდესი წარმომადგენელი, ეკონომიკის დარგში 1974 წლის ნობელის პრიზის ლაურეატი, წარმატებული ავტორი როგორც ეკონომიკაში, ასევე პოლიტიკურ ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიასა და ეპისტემოლოგიაში.

ჰაიეკი 1899 წლის 8 მაისს დაიბადა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ (არტილერიის ოფიცერი იყო და ავსტრია-უნგრეთის ჯარში მსახურობდა) ვენის უნივერსიტეტში ჩააბარა. აქ იგი ფრიდრიხ ფონ ვიზერისა და ოტმარ სპანის ლექციებს ესწრებოდა. აქვე მიიღო დოქტორის ხარისხი სამართალსა და პოლიტიკურ მეცნიერებებში. ნიუ იორკში ერთი წლის გატარების (1923-1924) შემდეგ, ჰაიეკი ვენაში დაბრუნდა და ლუდვიგ ფონ მიზესის ცნობილ კერძო სასემინარო ციკლში მსმენელად ჩაერთო.

1927 წელს ჰაიეკი ბიზნესციკლის კვლევის ავსტრიული ინსტიტუტის პირველი დირექტორი გახდა. 1931 წელს ლაიონელ რობინსის მიწვევით ლონდონის ეკონომიკის სკოლაში ასწავლიდა, ხოლო შემდეგ თომას თუკის სახელობის კათედრის თავმჯდომარის ადგილი დაიკავა. ჰაიეკი ძალიან მალე აქტიურად ჩაერთო 1930-იან წლებში ინგლისში მოდად

ქცეულ დებატებში, რომლებიც ფულის, კაპიტალისა და ბიზნესციკლის თეორიებს მოიცავდა. ჰაიეკი ეპაექრებოდა ისეთ ცნობილ მეცნიერებს, როგორებიც იყვნენ ჯონ მეინარდ ქეინზი, პიერო სტაფა და ფრანქ ჰ. ნაითი.

გვიანი 1930-იანი და ადრეული 1940-იანი წლების განმავლობაში ჰაიეკი საბაზრო პროცესებში ცოდნისა და აღმოჩენების როლს იკვლევდა. ასევე ზრუნავდა ავსტრიული ტრადიციის მეთოდოლოგიურ გამყარებაზე, კერძოდ, სუბიექტივიზმსა და მეთოდოლოგიურ იდივიდუალიზმზე ამახვილებდა ყურადღებას. აღნიშნულ სფეროებში მისი წვლილი იმ დებატებში მონაწილეობის შედეგი იყო, რომელიც სოციალიზმის პირობებში ეკონომიკური გათვლების შესაძლებლობას განიხილავდა.

1950 წელს ჰაიეკი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა საცხოვრებლად და ჩიკაგოს უნივერსიტეტში არსებულ სოციალურ მეცნიერებათა კომიტეტში დაიწყო საქმიანობა. მისმა კვლევებმა აქ უკვე მოიცვა ფართო სოციალური, პოლიტიკური და სამართლებრივი პრობლემები. 1962 წელს ევროპაში დაბრუნდა, – დასავლეთ გერმანიაში, ფრაიბურგის უნივერსიტეტში მიიღო აკადემიური თანამდებობა, ხოლო შემდეგ, უკვე 1969 წელს, ავსტრიის ქალაქ ზალცბურგის უნივესიტეტში გადადის. 1977 წლიდან ჰაიეკი უკვე ფრაიბურგში ცხოვრობდა.

ჰაიეკის სამეცნიერო მონაგარი ექვს ათეულ წელიწადზე მეტხანს მოიცავს. 1980-იან წლებში, ჯერ კიდევ შემოქმედებითი წინსვლის პროცესში მყოფი მეცნიერის ბიბლიოგრაფია (გრეი, 1984) უკვე შეადგენდა თვრამეტ წიგნს, ოცდახუთ ბროშურას, მისი რედაქტორობით გამოცემულ თექვსმეტ ნაშრომს და ორას ოცდათხუთმეტ სტატიას. ამ პუბლიკაციებმა ჰაიეკს რამდენიმე დისციპლინაში საერთაშორისო აღიარება და სახელი მოუტანა.

მისი ღვაწლი სხვა სოციალურ მეცნიერებებში იმავე მნიშვნელობისა და ხარისხისაა, როგორიც ეკონომიკის სფეროში მისი განსწავლულობისა და მეთოდოლოგიური საფუძვლების ცოდნა. ამ მიმოხილვაში წარმოგიდგენთ ჰაიეკს, როგორც ეკონომისტს და შედარებით ნაკლებ ყურადღებას დავუთმობთ მის კარიერასა და მოღვაწეობას სხვადასხვა სფეროში.

2. ეკონომიკა, როგორც კოორდინაციის პრობლემა

ჰაიეკის თითქმის ყველა ნაშრომში დასმული კითხვები და გაცემული პასუხები მის ზოგად კონცეფციას ასახავს, რომელიც ეკონომიკას კოორდინაციის პრობლემად განიხილავს (O'Driscoll, 1977). თუ საბაზრო ეკონომიკას სიღრმისეულად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ის უფრო რთული და ჩახლართული წესრიგით ხასიათდება, რაც ცალკეულ ადამიანთა შორის ურთიერთკოორდინაციის მიზამიმართული მცდელობების ახსნისგან განსხვავებულ განმარტებას მოითხოვს. ჰაიეკის მიხედვით (1952, გვ. 39), სწორედ „სპონტანური წესრიგია" ის, რასაც ეკონომიკური მეცნიერებისთვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია.

საბაზრო ეკონომიკას ბევრად უკეთესი კოორდინირება ახასიათებს, ვიდრე ეს შესაძლებელია აღიწეროს. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს, როდესაც ბაზრის მოქმედების შედეგებს ნებისმიერი დონის გეგმური ეკონომიკის შედეგებს ვადარებთ. მაგრამ, რაც უნდა იყოს, ბაზარი მაინც იმაზე ნაკლებად არის კოორდინირებული, ვიდრე შესაძლებელია იყოს. ეს კი კოორდინირების პრობლემის მოგვარების ამოცანას დღის წესრიგიდან არ ხსნის. მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას ერთ საყურადღებო გარემოებას: კოორდინაციის ჩავარდნები, რაც თანამედროვე საბაზრო პროცესის

თანამდევი მოვლენაა, კოორდინაციისვე კიდევ უფრო მაღალი ხარისხის ინტერესს აღვივებს. მაგალითად, რომელიმე საქონლის ჭარბად ან მცირე რაოდენობით მიწოდება იმის აშკარა გამოხატულებაა, რომ ამ საქონელთან დაკავშირებით მწარმოებელთა და მომხმარებელთა გეგმები კარგად არ არის ურთიერთკოორდინირებული. მაგრამ თავად ამგვარი დისკოორდინაცია ორ რამეს განაპირობებს: ერთი მხრივ, წარმოაჩენს გეგმების შეუთავსებლობას, ხოლო მეორე მხრივ, წარმოშობს სტიმულს, რომ მწარმოებლებმა და მომხმარებლებმა სათანადოდ გადახედონ თავიანთ გეგმებს.

მაგრამ, საბაზრო ეკონომიკაში, კოორდინაცია დროდადრო მთელი ეკონომიკის მასშტაბით განიცდის შეფერხებას. ჰაიეკის კვლევათა უდიდესი ნაწილის მიზანი იყო, პირდაპირ თუ ირიბად, აღმოეჩინა იმ გარემოებების ნაკრები, უფრო ზუსტად, მოვლენათა თანამიმდევრობა, რომლებიც მსგავს ჩავარდნებს იწვევდა. კერძოდ, ის გარემოებები, რასაც ეკონომიკის სრული კრახის გამოწვევა შეეძლო. მისი კვლევის მთავარი საკითხი პერიოდთაშორისი კოორდინაციის მოშლა იყო. ბუნებრივია, მოქმედებათა კოორდინაცია დროის სხვადასხვა მონაკვეთს შორის უფრო რთულ და პრობლემურ პროცესს წარმოადგენს, ვიდრე ამ მოქმედებათა კოორდინაცია დროის მოცემულ მომენტში. მწარმოებლებმა დღეს გადაწყვეტილებები იმ შესაძლო გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით უნდა გამოიტანონ, რომელთაც სხვა მწარმოებლები და მომხმარებლები მომავალში მიიღებენ. ჰაიეკის თეორიულ მსჯელობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმ ფაქტს, რომ წარმოებას დრო ესაჭიროება, ხოლო უფრო მეტი დროის გამოყენება უფრო მეტად ავითარებს ეკონომიკას. ეს არსებითი დროითი ფაქტორი ზრდის მცდარ საინვესტიციო გადაწყვეტილებათა მიღების ალბათობას და საინვესტიციო შეცდომების სრულ

სურათს იძლევა.

რეალური ან ფულად-საკრედიტო წონასწორობის დარღვევით გამოწვეულმა დროში არაკოორდინირებული ინვესტიციების მოზღვავებამ შეიძლება დასაქმების შესაძლებლობები გაზარდოს და ეკონომიკის ხელოვნური გამოცოცხლება გამოიწვიოს. მაგრამ კოორდინაციის მოშლის გააზრება მისი აღმოფხვრის საჭიროებას წარმოშობს, რაც ეკონომიკურ კრახს ნიშნავს. ავსტრიული თეორია სხვა მაკროეკონომიკური თეორიებისგან განსხვავებით, ყურადღებას ამახვილებს საინვესტიციო სექტორში არსებულ პერიოდთაშორისი კოორდინაციის პრობლემაზე. მაკროეკონომიკური კოორდინაციის პრობლემის მოგვარების სხვა მიდგომები ინვესტიციების ზოგად დონეზე ფოკუსირდება, რომელსაც დანაზოგებისა და დასაქმების დონეს ადარებენ.

ჰაიეკმა ბიზნესციკლის შესასწავლად ორნაწილიანი მიდგომა გამოიყენა. იმ წინაპირობას, თუ როგორ შეიძლება კოორდინაციის კრახმა მთელი ეკონომიკა მოიცვას, წარმოადგენს კითხვა – როგორ მიიღწევა საბაზრო ეკონომიკაში ნებისმიერი ხარისხის პერიოდთაშორისი კოორდინაცია. ჰაიეკი ამბობს: „იმის ახსნამდე, თუ რატომ უშვებენ ადამიანები შეცდომებს, ჩვენ ჯერ უნდა განვმარტოთ ის, თუ რატომ შეიძლება ადამიანები ოდესმე მაინც იყვნენ მართლები“ (1937, გვ. 34). პირველ ყოვლისა, აქ იგულისხმება, თუ როგორ მუშაობს საბაზრო ეკონომიკა, რათა განსაზღვრული დროის განმავლობაში მოახდინოს მოქმედებათა კოორდინირება; შემდგომ ჰაიეკი იხილავს შესაძლო ჩავარდნების მიზეზებს ეკონომიკური მეცნიერების სხვადასხვა დარგზე დაყრდნობით. კერძოდ, ფუნდამენტურ კავშირს ამყარებს ფასების, კაპიტალისა და ფულის თეორიებთან.

თითოეული ეს დარგი ჯერ კიდევ მაშინ საჭიროებდა შემ-

დგომ სრულყოფას, სანამ ჰაიეკის მეცნიერული კვლევის საგნად გადაიქცეოდა. ფასების თეორია ისე უნდა შეცვლილიყო, რომ ხაზი გაესვა ფასების სისტემისთვის, როგორც საკომუნიკაციო ქსელისა და ეკონომიკური ინფორმაციის გამოყენების ყველაზე სწორი საშუალებისთვის. კაპიტალის თეორია ისე უნდა განხილულიყო, რომ კაპიტალის სტრუქტურის ცალკეული ელემენტი წარმოეჩინა, რომლებიც თავის მხრივ სხვადასხვა ხარისხის თავისებურებისა და ვადიანობის მქონე კაპიტალის მრავალფეროვანი ნაწილებისგან შედგებიან, ხოლო ერთმანეთთან სხვადასხვა ხარისხის პერიოდთაშორისი ჩანაცვლებისა და ურთიერთშევსების უნარით იქნებოდნენ დაკავშირებულნი.

ფულის თეორია კი ისე უნდა გავრცობილიყო, რომ იდენტიფიკაციის საშუალება მიეცა შედარებითი ფასების სისტემატური ეფექტებისთვის, რომლებიც ფულის მასის გაზრდისა და შემცირების პროცესთან იყვნენ გაიგივებულნი.

მიუხედავად იმისა, რომ ჰაიეკმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თითოეული ამ სფეროს ცალცალკე კვლევაში, მის უმთავრეს მიღწევად მაინც ფასების, კაპიტალისა და ფულის თეორიების ინტეგრაცია-გაერთიანება მიიჩნევა. ჰაიეკმა ამ სფეროებში არსებული საკუთარი მიღწევები ერთიან მიდგომაში გააერთიანა, რომელიც საბაზრო პროცესებსა და ცენტრალური ბანკების პოლიტიკას მოიცავდა. საბაზრო პროცესები პერიოდთაშორისი კოორდინაციისკენ იყო მიდრეკილი. ცენტრალური ბანკების მიერ წარმოებული პოლიტიკა შეიძლება საბაზრო პროცესს დაპირისპირებოდა და ხელოვნური ეკონომიკური გამოცოცხლება გამოეწვია. ამას კი აუცილებლად მოჰყვებოდა ეკონომიკური კრახი.

ჰაიეკის ბიზნესციკლის თეორიამ XIX-XX საუკუნეების ეკონომიკური ისტორიის შეცვლის შესაძლებლობა შექმნა. იგი ალტერნატიული მაკროეკონომიკური თეორიების

შედარების საფუძველსაც წარმოადგენდა – განსაკუთრებით კი იმისა, რომელიც ჯონ მეინარდ ქეინზმა შეიმუშავა. და, ბოლოს, ბიზნესციკლის თეორია მხარს უჭერდა ისეთ ინსტიტუციურ რეფორმას, რომელიც თავიდან აგვარიდებდა ან მინიმუმამდე შეამცირებდა პერიოდთაშორისი კოორდინაციის დარღვევას.

3. სუბიექტივიზმი და მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი

ჰაიეკის მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიური ნორმები ზუსტად ასახავს მის მიერ საკვლევი საგნის აღქმას: სპონტანური წესრიგი, როგორც ეკონომიკური ფენომენი. საზოგადოების ფუნდამენტური ინსტიტუტები საკუთარ არსებობას რომელიმე გამორჩეულ შემქმნელს არ უნდა უმადლოდნენ. ისინი „არა წინასწარი ჩანაფიქრის, არამედ ადამიანის მოქმედების შედეგად წარმოიქმნენ“. სპონტანური წესრიგის ყველაზე ნათელი მაგალითია სამეტყველო ენა, ხოლო ეკონომიკურ ფენომენთა შორის – ფული. ფული, ყველაზე ფართოდ აღიარებული გაცვლის საშუალება, ბაზრის მრავალმა ცალკეულმა მონაწილემ აღიარა, როგორც მრავალი ადამიანის ხანგრძლივი პრაქტიკის შედეგი, რომელთაგან არც ერთს არ ჰქონდა განზრახული ფულის ინსტიტუტის შექმნა. კიდევ ერთი ეკონომიკური ფენომენი – შრომის მარტივი დანაწილებიდან მეურნეობის უფრო ფართო მასშტაბის ორგანიზებამდე – სპონტანური წესრიგის ნიმუშად უნდა ჩაითვალოს.

ჰაიეკის მოსაზრებით, თუ საზოგადოებაში მიზანმიმართულად ჩამოყალიბებული წესრიგის გარდა სპონტანურიც არ იარსებებდა, მაშინ სოციალურ მეცნიერებებს არც ასპარეზი გაუჩნდებოდა და არც მათი საჭიროება იქნებოდა.

ამ მეცნიერებების მთავარი ამოცანა მსოფლიოში, რომელიც სპონტანური წესრიგით ხასიათდება, სოციალური წესრიგის სწორედ იმ ასპექტების გამოავლინებაა, რომლებიც წინასწარი განზრახვით არ შექმნილან. მთავარი მეთოდოლოგიური საკითხი, რომელიც ჰაიეკის მიერ სპონტანური წესრიგის კვლევას გამოარჩევს, გულისხმობს რომ სოციალური მეცნიერებების ფენომენისადმი გამოყენებითი მეცნიერებების მეთოდების უპირობო მორგება არასწორია.

ჰაიეკი ტერმინს „საინტიზმი“ იყენებდა გამოყენებითი მეცნიერებების მეთოდების ბრმა იმიტაციაზე მისათითებლად, როცა ფიზიკური და არაფიზიკური რეალობის თანდაყოლილ განსხვავებათა მხედველობაში მიღება არ ხდებოდა. საინტიზმი, რომელიც აუცილებლად ყურადღების მიღმა ტოვებდა სოციალური რეალობის სასიცოცხლო ასპექტებს, როგორიცაა შემეცნება, განზრახვა და მოლოდინი, ჰაიეკის მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს გამოქვეყნებული ორი დიდი კრიტიკული სტატიის მთავარი თემა გახდა. ეს ორი სტატია ჰაიეკმა სუბიექტივიზმისა და მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის შემთხვევებით შეავსო, საბოლოოდ კი მათ 1952 წელს გამოსული წიგნის – „მეცნიერების კონტრრევოლუცია: კვლევა გონების ბოროტად გამოყენების შესახებ“ – მთავარი არსი და ბირთვი ჩამოაყალიბეს. ჰაიეკი ამბობდა: „არ გავაზვიადებ თუ ვიტყვი, რომ ბოლო ასწლეულის განმავლობაში ეკონომიკურ თეორიაში ყოველი მნიშვნელოვანი წინსვლა სუბიექტივიზმის თანამიმდევრულ გამოყენებასთან იყო დაკავშირებული“.

კლასიკოსი ეკონომისტები ყურადღებას ამახვილებდნენ ობიექტებზე, რომელთაც ღირებულება ენიჭებოდათ და ამ ღირებულების წყაროს გაწეულ შრომასა და წარმოების დანახარჯებში ეძებდნენ. ავსტრიელმა ეკონომისტებმა მენგერმა, მიზესმა და ჰაიეკმა ღირებულების მქონე ობიექტებიდან

ყურადღება ამ ღირებულების შექმნაში მონაწილე სუბიექტებზე გადაიტანეს. ჰაიეკი ხაზს უსვამდა, რომ ღირებულება, რომელიც ეკონომიკური მოქმედების სხვადასხვა ობიექტს ენიჭება, შეიძლება აიხსნას მხოლოდ ადამიანური მიზნების გათვალისწინებით და იმით, თუ რა დამოკიდებულება გააჩნიათ ადამიანებს ამ ობიექტებისადმი. ჰაიეკის მტკიცე სუბიექტივისტური თვალთახედვა და ინდივიდუალიზმის მეთოდოლოგიური შეზღუდვებისადმი ერთგულება ერთმანეთს აძლიერებდა. მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი არ წარმოადგენს რეცეპტს, თუ როგორ უნდა ვაწარმოოთ ეკონომიკური კვლევა. იგი მხოლოდ იმის ხაზგასმაა, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკურ განმარტებად. იმისთვის, რომ ადამიანის განზრახვის გარეშე წარმოშობილი სპონტანური წესრიგის ასპექტები ავხსნათ, ყურადღება უნდა მივაქციოთ ინდივიდუალურ ქმედებათა დროს გამოყენებულ ასპექტებს, რომლებიც საბოლოოდ წესრიგს აყალიბებენ. თავად ჰაიეკის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ეს სხვადასხვა ინდივიდის კონცეფციები და შეხედულებებია, რომლებიც ჩვენთვის პირდაპირაა ცნობილი. ისინი აყალიბებენ ელემენტებს, რომელთა გამოყენებითაც, როგორც ხდება ხოლმე, ჩვენ კიდევ უფრო მეტად რთულ ფენომენს ვქმნით“. 1952 წელს ჰაიეკის მიერ სუბიექტივიზმისა და მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმისადმი ერთგულების გამოხატვა და საინტიზმის შეცდომების ხაზგასმა, ფაქტობრივად, გვთავაზობს ეკონომისტის იმ მიდგომის გაღრმავებას და არა უარყოფას, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური თეორია ეკონომიკის ემპირიულ კვლევაზე არ არის დამოკიდებული და არსებითად, მას წინ უსწრებს კიდეც.

4. ფასების სისტემა, როგორც საკომუნიკაციო ქსელი

ჰაიეკის სპონტანური წესრიგის აღიარებიდან მის მიერ ფასების სისტემის, როგორც საკომუნიკაციო ქსელის გაგებამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია. ჰაიეკის აზრით, სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფაში ფასების სისტემის უმთავრესი დამსახურება ბაზრის ერთი ნაწილიდან მეორეში ინფორმაციის გადატანაა. ბუნებრივი კატასტროფების შედეგად განსაზღვრული რესურსების რაოდენობა მცირდება და მარაგის სიმცირის ფაქტი გაზრდილი ფასების მეშვეობით სწრაფად აღწევს პოტენციურ მომხმარებლამდე – რაც თავისთავად წარმოშობს ინიციატივას, საზოგადოების სურვილის გათვალისწინებით მოხდეს ამა თუ იმ ნედლეულის დაზოგვა. ასეთი კომუნიკაციის სისტემის საჭიროება მომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ინფორმაცია, რომელიც უნდა გაიცვალოს, საზოგადოების წევრებს შორისაა გაბნეული. ფასების, როგორც გზამკვლევი ნიშნების, ბუნება ბოლო ათწლეულის განმავლობაში სამართლიანად აღიარეს და გაზიარებულია მრავალ თანამედროვე სახელმძღვანელოში.

ჰაიეკმა მიმართვაში, რომელიც საზოგადოებაში ცოდნის გამოყენებას მოიცავდა, მკვეთრად განასხვავა ორი სახის ცოდნა. პირველი – მეცნიერული ან თეორიული ცოდნა და მეორე – დროისა და ადგილის სპეციფიკურ გარემოებათა ცოდნა. პირველი კატეგორია სწორედ რომ ეკონომისტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს, ხოლო მეორე უშუალოდ ბაზრის მონაწილეებს ეხება. ასეთი სახით „ცოდნის დანაწილების“ გაუთვალისწინებლობამ ორი შეცდომიდან ერთთან მაინც შეიძლება მიგვიყვანოს. ვარაუდი იმისა, რომ ეკონომისტებმა შეიძლება ამ ორი ცოდნის შერწყმა მოახდინონ, მიგვიყვანს დასკვნამდე, რომ „რაციონალური დაგეგმვა“ შესაძლებელია – ან, როგორც მინიმუმი, შესაძლებელია